

ჩა სიანქნაჲს იოჲაღისნიჩნაჲს შუჲ პირთა ჲანჲის შუანაჲჲ ახალი კანონი



საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია შებლუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების შესახებ ახალი კანონის პროექტი, რომელიც საკომიტეტო განხილვის ეტაპზეა. საკანონმდებლო ინიციატივა მნიშვნელოვან სიახლეებს ითვალისწინებს შშმ პირთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

კანონი, ინიციატივა

კანონი: „შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“

ინიციატორი: მთავრობა

ავტორები: იუსტიციის სამინისტრო

კანონპროექტის ანოტირება

კანონის პროექტი მიზნად ისახავს შშმ პირთა უფლებების დაცვას და უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული დაბრკოლებების აღმოფხვრას შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენციის შესაბამისად.¹

კანონის პროექტით უქმდება 1995 წელს მიღებული კანონი „შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“.

კანონის პროექტით:

- მუნიციპალიტეტები შესთავაზებენ შშმ პირებს პერსონალური ასისტენტის სერვისს. პერსონალური ასისტენტი დაეხმარება შშმ პირს განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისებით სარგებლობისას და ყოფითი ხასიათის საკითხების მოგვარებაში.
- შემოდის სპეციალური მოსარჩელის ინსტიტუტი - შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები დარეგისტრირდებიან სპეციალური მოსარჩელის სტატუსით და მიეცემათ შესაძლებლობა შშმ პირთა დისკრიმინაციის შემთხვევებში სასამართლოს მიმართონ).
- შშმ პირს ექნება შესაძლებლობა სახელმწიფოს ხარჯზე ისარგებლოს იურიდიული დახმარებით
- სახელმწიფო უწყებები ვალდებული იქნებიან შშმ პირთა საჭიროებების შესაბამისად განახორციელონ შენობა-ნაგებობების ადაპტაცია;²

1. მონივრული მისადაგების პრინციპი

მოქმედი ჩანაწერი	შეერთებული შტატების მხრიდან
არ არის განსაზღვრული.	გონივრული მისადაგება გულისხმობს თანასწორობის პრინციპის დაცვას შშმ პირის უფლებების განხორციელებისას. ³

2. უნივერსალური დიზაინი

მოქმედი ჩანაწერი	შეერთებული შტატების მხრიდან
კანონდებლობით არ არის განსაზღვრული. უნივერსალური დიზაინის ცნება და ვალდებულება. ⁴	<ul style="list-style-type: none"> • უნივერსალური დიზაინი - პროდუქტის, გარემოს, სწავლების, პროგრამებისა და მომსახურების ისეთი დიზაინი, რომელიც სპეციალური ადაპტაციის გარეშე ყველა ადამიანისათვის ხელმისაწვდომია.⁵ • კანონის მიღებიდან 15 წლის განმავლობაში ყველა შესაბამისმა ორგანომ/დანესებულებამ ეტაპობრივად უნდა განახორციელოს უკვე ამენებული შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურის, არსებული სერვისების უნივერსალური დიზაინის შესაბამისად ადაპტირება. თუკი ადაპტირება ტექნიკური მიზეზების გამო შეუძლებელია, უნდა განსაზღვროს ალტერნატიული საშუალებები შშმ პირთათვის სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

3. იურიდიული დახმარების საშუალების უზრუნველყოფის გარანტი

მოქმედი ჩანაწერი	შეერთებული შტატების მხრიდან
შშმ პირები, როგორც ყველა სხვა მოქალაქე, მხოლოდ გადახდისუნარობის შემთხვევაში სარგებლობენ იურიდიული საშუალების დახმარებით.	იურიდიული დახმარების საშუალებები შშმ პირებს გაუწევს უფასო იურიდიულ კონსულტაციას და სასამართლოში საადვოკატო (წარმომადგენლობით) მომსახურებას ყველა კატეგორიის საქმეზე.

4. სპეციალური მოსარჩელის ინსტიტუტი

მოქმედი ჩანაწერი	შეერთებული შტატების მხრიდან
არ ითვალისწინებს.	<ul style="list-style-type: none"> • არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი შშმ პირთა უფლებების დაცვის მიზნით დარეგისტრირდება სპეციალური მოსარჩელის სტატუსით. რეგისტრაციისათვის საჭიროა ორგანიზაციის ჰქონდეს სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული სამართალწარმოების სფეროში საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. • სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციებს უფლება ექნებათ შშმ პირთა დისკრიმინაციის დროს აწარმოონ ადმინისტრაციული და სამოქალაქო დავები.

5. პერსონალური ასისტენტი

მოქმედი ჩანაწერი	შეერთებული შტატების მხრიდან
არ ითვალისწინებს.	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტები შშმ პირებს პერსონალური ასისტენტის სერვისს შესთავაზებენ. • პერსონალური ასისტენტი არის სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელიც შშმ პირს უწევს დახმარებას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისებით სარგებლობისას ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას.

6. შებლუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა ბიოფსიქოსოციალური მოდელის საფუძველზე

მოქმედი ჩანაწერი	შეერთებული შტატების მხრიდან
შებლუდული შესაძლებლობის სტატუსი განისაზღვრება სამედიცინო დიაგნოზის მიხედვით.	<ul style="list-style-type: none"> • შებლუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა დაეფუძნება ბიოფსიქოსოციალურ მოდელს, რომელსაც შეიმუშავებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. • ბიოფსიქოსოციალური მოდელის მიხედვით, შესაძლებლობის შებლუდულის სტატუსი სამედიცინო ჩვენებასთან ერთად, რეალური საჭიროებების შეფასებას დაეფუძნება. კერძოდ, მხედველობაში იქნება მიღებული ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორები, ქცევითი სტილი, კოგნიტიური პროცესებისა და გარემო ფაქტორების ურთიერთკავშირი.

7. უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტი

მოქმედი ჩანაწერი	შეერთებული შტატების მხრიდან
არ არის გათვალისწინებული.	<ul style="list-style-type: none"> • მთავრობა ქმნის „შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ უწყებათაშორის საკოორდინაციო კომიტეტს. • საკოორდინაციო კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს „შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციისა“ და „შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კანონის იმპლემენტაციის ხელშეწყობის ერთიანი სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. კომიტეტი ასევე, ზედამხედველობას განახორციელებს მათ შესრულებაზე.

შედეგები/ანალიზი

კანონის პროექტით გაუმჯობესებულია შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის სტანდარტი, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის რატიფიკაცია საქართველოში 2013 წლის 26 დეკემბერს განახორციელდა (ძალაში შევიდა 2014 წლის 12 აპრილს).⁶ შესაბამისად, საქართველომ აიღო ვალდებულება - უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს შშმ პირთა მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა სრულ რეალიზებას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

მოგვიანებით, 2014 წლის ოქტომბერში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების⁷ შედეგად კი სრულად შეიცვალა შშმ პირთა მარეგულირებელი ნორმები, ქმედუნარიანობის სტატუსის ძირითადი კრიტერიუმები განხორციელდა და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები სრულად ქმედუნარიანები არიან.

მიუხედავად განხორციელებული საკანონმდებლო სიახლეებისა, კვლავ არ არის სათანადოდ დაუფლები და უზრუნველყოფილი შშმ პირთა უფლებები, რაზეც ინიციატორს უთითებს. კერძოდ, განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ „საქართველოში არსებული სინამდვილე როგორც სტატისტიკური, ისე შინაარსობრივი კვლევების გათვალისწინებით შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების საშუალებას ძნელად იძლევა.“⁸

- კანონის პროექტში დადებითად უნდა შეფასდეს შემდეგი მნიშვნელოვანი სიახლეები:
- შშმ პირების ხელშეწყობის სამართალწარმოების განხორციელების პროცესში: შშმ პირთა სახელმწიფო იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა ექნება და ასევე იარსებებს სპეციალური მოსარჩელის ინსტიტუტი;
 - კანონით განისაზღვრება გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური დიზაინის პრინციპები.
- მნიშვნელოვანია, რომ ნორმები, რომელიც შშმ პირთა უფლებების დაცვის გარანტიებს ითვალისწინებს, არ იყოს ბუნდოვანი და შეიცავდეს ალუსურ ელემენტებს. ამ მიმართულებით რიგი საკითხები დახვეწასა და გაუმჯობესებას საჭიროებს, კერძოდ:
- კანონის პროექტის არაერთი ნორმა დეკლარაციული ხასიათისაა და შესაბამისად არაა განსაზღვრული ალუსურების შექნაზე. მაგ., სახელმწიფო „ხელს უწყობს“ ან/და „უზრუნველყოფს“ შშმ პირთა უფლებებს, თუმცა, სახელმწიფო რა შედეგებს უნდა მივაღწიოთ ხელს უფლებების განხორციელებას, მაგალითად განათლების, ჯანმრთელობის, დასაქმების მიმართულებით, არ არის განმარტებული.
 - პროექტი შეიცავს ბუნდოვან/არაგანჭვრეტად ჩანაწერებს, მაგალითად გონივრული მისადაგების ტერმინის განსაზღვრისას არ არის განჭვრეტადი თუ რა იგულისხმება აუცილებელ და შესაფერის ცვლილებებში;
 - შემოთავაზებული ცვლილებები შეძლებისდაგვარად დროულად უნდა ამოქმედდეს. კანონპროექტით კანონის ამოქმედების ვადად ეტაპობრივად 2021-2035 წლებია განსაზღვრული.

1 განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, იხ.: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/243316?>

2 ხელმისაწვდომობა ფართო კატეგორიაა და მოიცავს რამდენიმე მიმართულებას, მათ შორის ხელმისაწვდომობას მომსახურებაზე, შენობებსა და ინფორმაციაზე.

3 პროექტის თანახმად, შემდგომი განმარტება ეს პრინციპი: გონივრული მისადაგება - პრინციპი, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაფერისი ცვლილებების განხორციელებას გულისხმობს, რაც არ განაპირობებს არაპროპორციულ ან გადამეტებულ ტვირთს ან ვალდებულებას და უზრუნველყოფს შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებებისა და თავისუფლებების სხვებთან თანასწორ პირობებში რეალიზებას.

4 გარემო, სწავლებისა თუ პროდუქტის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმები სხვადასხვა სამართლებრივ აქტებშია მოცემული.

5 უნივერსალური დიზაინი არ გამოიყვანება, საჭიროების შემთხვევაში, შებლუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ჯგუფის მიერ დახმარება საშუალებების ან/და სხვადასხვა სახის ხელშეწყობის გამოყენებას

6 შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ძალაში შესვლის თარიღი 12/04/2014, იხ. <https://bit.ly/2yFdwEm>

7 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 10 ოქტომბრის #2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, იხ. <https://bit.ly/2VbTtFY>

8 განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, იხ.: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/243316?>

